




საქართველო
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
 საკრებულო



N 59
 29/07/2016

59-07-4-201607291745



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
 განკარგულება №59
 2016 წლის 29 ივლისი
 ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირობებიანი აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 122-ე მუხლის მე-4 ნაწილის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 36-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (ლანჩხუთი, სოფელ ჭყონაგორაში მდებარე უძრავი ქონება (მიწის (უძრავი ქონების) ს/კ 27.04.49.450) და ინვენტარი) პირობებიანი აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

მუხლი 2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (უძრავი ქონება და ინვენტარი) სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს ქონების ღირებულების (44 000 +4500 ლარი) 5%-ის - 2425 ლარის ოდენობით.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი ხელოძე



საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს ბიურო